კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ვებ-გვერდის (www.opera.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 28 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge



საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

www.opera.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
33,33%
63,83%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
15,38%
19,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
18,33%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
13,64%
12,00%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
0,00%
0,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
47,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მოქმედი დებულების თანახმად თეატრის მართვას ახორციელებენ შემოქმედებით დარგში – სამხატვრო ხელმძღვანელი საოპერო სფეროში, სამხატვრო ხელმძღვანელი საბალეტო სფეროში და მთავარი დირიჟორი (თუ სამხატვრო ხელმძღვანელი საოპერო სფეროში არ არის დირიჟორი), ხოლო ადმინისტრაციულ და სამეურნეო-საფინანსო დარგში – გენერალური დირექტორი. აღსანიშნავია, რომ ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის ვებ-გვერდზე არ არის სიზუსტით განთავსებული აღნიშნული ინფორმაცია და აგრეთვე არ მოიძიება აღნიშნული თანამდებობის პირების კომპეტენციის აღწერა. სასურველია, რომ არსებობდეს ცალკე (ქვე)-განყოფილება „ხელმძღვანელობა“ , სადაც განთავსებული იქნებოდა ინფორმაცია ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის გენერალური დირექტორისა და ზოგადად თეატრის ხელმძღვანელობის შესახებ. სასურველია ამავე (ქვე-) განყოფილებაში მოყვანილი იყოს თითოეული ხელმძღვანელის სამუშაო ელ-ფოსტა და ფაქსის ნომერი.

2. ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სრული სახელწოდებაა „ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და თეატრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით), ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერი. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება თეატრის სტრუქტურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული დანაყოფის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). აღსანიშნავია ისიც, რომ ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი წარმოდგენილია, მხოლოდ სერვის-სამსახურის შემთხვევაში (ინფორმაცია სპექტაკლების, კონცერტების და სხვა ღონისძიებების შესახებ).

4. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მსგავსი კომპეტენციის საჯარო დაწესებულებების სრული ან ნაწილობრივი დასახელებების ჩამონათვალი და მათ ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები.



- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სტრუქტურული ხე, სრტუქტურის ინფორმაციული აღწერა და ყველა მოქმედი სტრუქტურული დანაყოფის ჩამონათვალი;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სტრუქტურული დანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სტრუქტურული დანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაციის მომცველი განცალკევებული განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები (სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.)

6. აღსანიშნავია, ისიც რომ ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების შესახებ. კერძოდ, ვებ გვერდზე არ მოიძიება:

- ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სათათბირო ორგანოების (მრჩეველთა საბჭო, საკონსულტაციო ორგანო) ჩამონათვალი;

- ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);

- ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სათათბირო ორგანოების სტრუქტურა და შემადგენლობა;

- ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სათათბირო ორგანოების სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები):

ოპერის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი – რუსუდან მაცაბერიძე
ტელ/ფაქსი (+995 32) 214 32 05
ელ. ფოსტა: matsaberidze@opera.ge

ოპერის სამხატვრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - ეკატერინე გელაშვილი
ტელ: (+995 32) 214 32 04
ელ. ფოსტა: e.gelashvili@opera.ge

თეატრის მთავარი ადმინისტრატორი – ნინო მუსერიძე
ტელ: (+995 32) 214 32 04
ელ. ფოსტა: museridzenina@yahoo.com

ბალეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი – თამარ მოდებაძე
ტელ: (+995 32) 299–93–64
ელ. ფოსტა: tamarmodebadze@yahoo.com

ბალეტის ადმინისტრაციის დირექტორი – მარიამ ერისთავი
ტელ: (+995 32) 299-56-39
ელ. ფოსტა: mariameristavi@hotmail.com

საზღვარგარეთის პარტნიორებთან ურთიერთობის კოორდინატორი – გვანცა ბადურაშვილი
ტელ: (+995 32) 299–93–64
ელ. ფოსტა: gbadurashvili@yahoo.com

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უშუალოდ ეხება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საქმიანობის სფეროს, თუმცა მიუხედავად ამისა, ვებ-გვერდზე არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებათა ბაზა, სტატისტიკური მაჩვენებლები, ტენდერებისა და ვაკანსიათა არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები, პროგრამებისა და პროექტების არქივი და ა.შ. სასურველია, რომ ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „ახალი ამბები“, და „ვიდეო გალერეა“:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. ვებ გვერდზე არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის გენერალური დირექტორის გამოსვლების, განცხადებების და ბრიფინგების ტექსტები, აგრეთვე ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ.

9. არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიში“, სადაც წლების მიხედვით განთავსებული იქნებოდა ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მიერ საქმიანობის შესახებ მოხსენებები/ანგარიშები.

10. არ მოიძიება ინფორმაცია იმ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი.

11.საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა" და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან", სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და თეატრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც განთავსებული იქნებოდა ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ტექსტები, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრის და თეატრის გენერალური დირექტორის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის დებულება და შინაგანაწესი შესაბამის განცალკევებულ (ქვე-) განყოფილებებში.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

14. ინფორმაცია ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და თეატრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

15. ვებ-გვერდზე სრულიად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ტენდერებისა და აუქციონების შესახებ. არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი.

16. ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა თეატრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე თეატრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

18. ვებ-გვერდზე სრულიად არ არის წარმოდგენილი ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი /ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ეროვნული ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
44,44%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
53,33%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
68,42%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
8,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ნავიგაცია**

ძიების პროცესის დასრულების შემდეგ იკარგება ვებ-გვერდის მთავარი მენიუ:



რაც ხშირ შემთხვევაში აბნევს მომხმარებელს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი შეცდომაა. ძიების შედეგებთან ერთად აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს მთავარი მენიუც.

- **ძიება**

ვებ-გვერდზე დეტალური ძიება არ არსებობს, ხოლო მარტივი ძიება გუგლის საძიებო სისტემის დახმარებით არის გაკეთებული, რაც ძიებისთვის არა პრაქტიკულია:

ვებ-გვერდს უნდა ქონდეს საკუთარი საძიებო სისტემა. ხოლო, მოცულობითი ინფორმაციის არსებობის შემთხვევებში აუცილებელია დეტალური ძიების მოდულის არსებობა.

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის მენიუ დაწერილია მცირე ზომის ფონტით, საჭიროა მისი გაზრდა რათა მომხმარებელს გაუადვილდეს ინფორმაციის აღქმა, მითუმეტეს მენიუს განლაგება ამის საშუალებას იძლევა:



- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ელ-ფოსტის ზოგადი ფორმატი დარღვეულია არასწორი დომენური მისამრთის გამო. OPERA.GE - ის უნდა ქონდეს ალტერნატიული მისამართი OPERA.GOV.GE შესაბამისად ელ.ფოსტები უნდა იყოს შემდეგი ფორმატის:

info@opera.gov.ge



საკონტაქტო ინფორმაცია

სერვის-სამსახური - ინფორმაცია სპექტაკლების, კონცერტების და სხვა ღონისძიებების შესახებ
(+995 32) 214 32 03
ელ. ფოსტა: service@opera.ge
ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11-დან 18 საათამდე

თეატრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი – ეკატერინე ბუჩუკური
ტელ/ფაქსი (+995 32) 299 04 56
ელ. ფოსტა: buchukuri@opera.ge

თეატრის განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი – ზურაბ ოიკაშვილი
ტელ/ფაქსი (+995 32) 214 32 03
ელ. ფოსტა: oikashvili@opera.ge
oikashvili@mail.ru

ოპერის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი – რუსუდან მაცაბერიძე
ტელ/ფაქსი (+995 32) 214 32 05
ელ. ფოსტა: matsaberidze@opera.ge

ოპერის სამხატვრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - ეკატერინე გელაშვილი
ტელ: (+995 32) 214 32 04
ელ. ფოსტა: e.gelashvili@opera.ge

თეატრის მთავარი ადმინისტრატორი – ნინო მუსერიძე
ტელ: (+995 32) 214 32 04

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე არსებობს ვირტუალური 3 განზომილებიანი დარბაზი, რომელიც მუშაობს პროგრამირების ენა JAVA-ზე. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კომპიუტერს არ აქვს JAVA პლატფორმა ვირტუალური დარბაზი ყველგან ვერ ჩაირთვება. რაც შეეხება ისეთ პლატფორმებს სადაც JAVA უკვე იყო ინსტალირებული, ჩატარებული ტესტირების შედეგად „დარბაზი“ ხუთი კომპიუტერიდან ჩაირთო მხოლოდ სამზე:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გვერდი არსებობს Facebook-ზე, თუმცა ოფიციალურ ვებ-გვერდსა და FACEBOOK-ის გვერდებს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. მათ შორის კავშირის დამყარება საკმაოდ მარტივია და ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ვებ-მასტერმა.



- **ონლაინ სერვისები**

ვებ-გვერდზე არსებობს პუნქტი „ბილეთების შეძენა“ სადაც მოცემულია მხოლოდ ტელეფონის ნომერი. ვებ-გვერდზე აუცილებლად უნდა იყოს ინტეგრირებული მინიმუმ ბილეთების შეძენის ელექტრონული სერვისის მოდული.



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე, განყოფილება „ისტორიაში“ მოცემულია ბმული რომელიც ითხოვს მომხმარებლის სახელისა და პაროლის ჩაწერას და რომელსაც გადავყავართ ადმინისტრატორის მართვის პანელზე:



ასეთი ბმულის არსებობა ვებ-გვერდზე, მითუმეტეს განყოფილება „ისტორიაში“ დაუშვებელია. პირველ რიგში იბნევა მომხმარებელი, ხოლო შემდეგ შანსი ეძლევათ პროგრამისტებს ბოროტად გამოიყენონ ეს ინფორმაცია.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდს აშკარად ეტყობა, რომ დიდი ხნის წინ დამზადდა, რადგან მასში არ არის გათვალისწინებული ვებ-პროგრამირების თანამედროვე მოთხოვნები. მაგ. ვებ-გვერდის სიგანე სავარაუდოდ 15 ინჩიანი მონიტორებისთვის იყო გათვალისწინებული.

ვებ-გვერდი განსაახლებელია, დასახვეწია დიზაინი, შესაქმნელია სხვადასხვა ონლაინ სერვისები. ამის შედეგად ვებ-გვერდი გახდება გაცილებით მოძიებადი და ხელმისაწვდომი როგორც სოციალურ ქსელებში ასევე საძიებო სისტემებშიც.